

საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების სამინისტროს
სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს
2019 წლის საქმიანობის შედეგები,
მიღწევები, აქტივობები და დარგის
განვითარების ძირითადი
სტატისტიკური მაჩვენებლები

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს 2019 წლის საქმიანობის ანგარიში

GCAA Annual Report 2019

www.gcaa.ge

სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტო არის ქვეყნის საავიაციო ხელისუფლება, რომელიც უზრუნველყოფს სამოქალაქო ავიაციის დარგის რეგულირებას, მუდმივ ზედამხედველობას, კონტროლს და შესაბამისი მომსახურებების გაწევას.

ჩვენი უმთავრესი მიზანია სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხო ფუნქციონირება, რაც მიიღწევა სააგენტოს მიერ შესაბამისი წესების შემუშავების, გამოცემისა და მათ შესრულებაზე ზედამხედველობის გზით.

სააგენტოს ამოცანებია: საავიაციო უსაფრთხოებისა და უშიშროების კუთხით მოქმედი საერთაშორისო სტანდარტებისა და რეკომენდირებული პრაქტიკის დანერგვა და მათ შესრულებაზე ზედამხედველობა, ევროკავშირთან ერთიანი საჰაერო სივრცის შეთანხმებით გათვალისწინებული რეგულაციებისა და დირექტივების დანერგვა, მგზავრთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა, საავიაციო ბაზრის, აეროპორტების და საჰაერო მოძრაობის მართვის ქსელების განვითარების ხელშეწყობა და საერთაშორისო საავიაციო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება.

მისამართი: 0158, თბილისი, აეროპორტი, საქართველო

ტელ: (+995 32) 2 94 80 14; (+995 32) 2 94 80 02

ელ.ფოსტა: office@gcaa.ge

ვებ-გვერდი: www.gcaa.ge

ICAO-ს საბჭოს პრეზიდენტის სპეციალური სერტიფიკატები



სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) რიგით მეორმოცე, საიუბილეო ასამბლეის გახსნითი ღონისძიების ფარგლებში (24 სექტემბერი 2019 წელი), საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს, ფრენების უსაფრთხოების და საავიაციო უშიშროების ზედამხედველობის კუთხით გატარებული მნიშვნელოვანი რეფორმებისა და მიღწეული მაღალი შედეგებისთვის ICAO-ს საბჭოს პრეზიდენტის ორი სერტიფიკატი გადაეცა.

სპეციალური სერტიფიკატებით ICAO-ს წევრი 28 ქვეყანა დაჯილდოვდა. ამასთან, საქართველო ერთადერთი ქვეყანაა რეგიონში, რომელსაც სერტიფიკატი ორივე მიმართულებით (Flight Safety - ფრენების უსაფრთხოებაზე ზედამხედველობა, Aviation Security - საავიაციო უშიშროება) გადაეცა.

ქვეყნისთვის სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის საბჭოს პრეზიდენტის სერტიფიკატის გადაცემის ძირითადი კრიტერიუმებია:

- საერთაშორისო საავიაციო სტანდარტების დანერგვის და ზედამხედველობის ეფექტური იმპლემენტაციის (EI) არსებული მაჩვენებელი უნდა აჭარბებდეს უსაფრთხოების გლობალური გეგმით დადგენილ 60%-იან მაჩვენებელს;
- ICAO-ს სტანდარტების ეფექტური იმპლემენტაციის (EI) მთლიანი მაჩვენებლის 15%-ზე მეტი გაუმჯობესება წინა აუდიტთან შედარებით;
- სერიოზული ნაკლოვანებების არ ქონა/აღმოფხვრა საავიაციო უსაფრთხოების კუთხით.

2018 წელს ჩატარებული ICAO-ს აუდიტის შედეგების მიხედვით, საქართველოს მიერ სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო სტანდარტების და პრაქტიკის ეფექტური იმპლემენტაციის მთლიანი მაჩვენებელი 87.64%-ს გახდა. ახალი მაჩვენებლებით, საქართველო საერთაშორისო საავიაციო სტანდარტების დანერგვის და ზედამხედველობის თვალსაზრისით რეგიონში პირველ ადგილზეა. 2013 წლიდან დღემდე, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ საავიაციო უსაფრთხოების ზედამხედველობის მაჩვენებლები თითქმის 56%-ით გააუმჯობესა (32%-დან - 87.64%-მდე). რაც შეეხება საავიაციო უშიშროებაზე

ზედამხედველობას, მაჩვენებლები ამ მიმართულებით თითქმის 30%-ით გაუმჯობესდა (58%-დან - 87.8%-მდე).

ICAO-ს ასამბლეა წარმოადგენს ყველაზე მაღალი დონის შეხვედრას ავიაციის სფეროში რომელსაც ესწრება ICAO-ს 193 წევრი სახელმწიფო, საერთაშორისო საავიაციო ორგანიზაციები და ინდუსტრიის მსხვილი წარმომადგენლები. მიმდინარე წლის საიუბილეო ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა 173 ქვეყნის, 43 საერთაშორისო საავიაციო ორგანიზაციის და ინდუსტრიის ორიათასამდე დელეგატი.

ICAO-ს საბჭოს პრეზიდენტის სპეციალური სერტიფიკატებით დაჯილდოება წარმოადგენს სამოქალაქო ავიაციის სფეროში საქართველოს და მისი საავიაციო ხელისუფლების მიღწევების და დასახული კურსის აღიარებას საერთაშორისო დონეზე.

საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვები

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მონაცემებით, გასული 2019 წლის განმავლობაში, საქართველოს აეროპორტები ჯამში 5 209 505 მგზავრს მოემსახურა. 2018 წელთან შედარებით, მგზავრთნაკადი 3.5%-ით (176 182 მგზავრით მეტი ვიდრე 2018 წელს), ხოლო 2017 წელთან შედარებით 27.63%-ით (1 127 787 მგზავრით მეტი ვიდრე 2017 წელს) არის გაზრდილი.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტი 3 692 175 მგზავრს მოემსახურა, რაც 3.06%-ით (116 444 მგზავრით) ნაკლებია, ვიდრე 2018 წლის თორმეტი თვის მონაცემებით გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა, რაც გასული წლის 8 ივლისიდან, საქართველოსა და რუსეთს შორის საჰაერო მიმოსვლის შეწყვეტით იყო განპირობებული.

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში მგზავრთნაკადი 41.51%-ით გაიზარდა. სულ გადაყვანილ იქნა 873 616 მგზავრი, რაც 256 243 მგზავრით მეტია ვიდრე 2018 წელს მიღებული მგზავრების რაოდენობა.


ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის მეშვეობით 624 151 მგზავრი იქნა გადაყვანილი, რაც 4.22% ით (25 260 მგზავრით) მეტია 2018 წლის მაჩვენებელზე.

რაც შეეხება ადგილობრივი დანიშნულების აეროპორტებს, მესტია გასული წლის დაჯამებული მონაცემებით 8 625 მგზავრს მოემსახურა, რაც 1 767 მგზავრით, შესაბამისად 25.77%-ით მეტია ვიდრე 2018 წლის ანალოგიურ პერიოდში გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა. ამბროლაურის აეროპორტმა განვლილ თორმეტ თვეში 1 966 მგზავრი მიიღო, რაც 384 მგზავრით მესტია (24%) ვიდრე 2018 წლის ანალოგიურ პერიოდში მომსახურებული მგზავრების რაოდენობა.

2019 წლის განმავლობაში, საქართველოს აეროპორტებში ჯამში 24 447 რეისი განხორციელდა. აქედან რეგულარული რეისების რაოდენობა შეადგენდა 21 399-ს, ხოლო ჩარტერები - 3 048-ს. 2018 განხორციელებული ფრენების რაოდენობასთან შედარებით, რეისებმა უმნიშვნელოდ, 0.65%-ით (159 რეისით) იკლო.


უმნიშვნელო კლება დაფიქსირდა სატვირთო გადაზიდვების კუთხითაც. 2019 წელს, საჰაერო გზით გადაზიდული ტვირთის მოცულობამ 24 911. 336 ტონა შეადგინა, რაც 543.49 ტონით, შესაბამისად, 2.14%-ით ნაკლებია ვიდრე 2018 წლის ანალოგიურ პერიოდში გადაზიდული ტვირთის ოდენობა.

ევროპის საჰაერო ნავიგაციის უსაფრთხოების ორგანიზაციის (EUROCONTROL) სტატისტიკური მონაცემებით მიხედვით, საქართველოში მომფრენი საჰაერო მოძრაობის ნაკადები 2019 წელს - 2018 წელთან შედარებით 1.9%-ით შემცირდა, გამფრენი საჰაერო მოძრაობის ნაკადები 1.7% -ით შემცირდა, ხოლო შიდა ფრენები 12.3% ით გაიზარდა. 12.7%-იანი კლება იყო გადამფრენი საჰაერო მოძრაობის ნაკადების კუთხით, რაც პაკისტანის საჰაერო სივრცის რამდენიმე თვიანი დახურვით და აზიიდან მომავალი საჰაერო მოძრაობის ნაკადების საქართველოს საჰაერო სივრცის გვერდის ავლით იყო განპირობებული.



სააგენტოს ინფოგრაფიკა

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მონაცემებით, 2019 წელს გადაყვანილი მგზავრების რაოდენობის მიხედვით, საქართველოს საავიაციო ბაზარზე კვლავ “Wizz Air” ლიდერობს. დაბალბიუჯეტური ავიაკომპანიის წილმა შარშან 16%-ს მიაღწია, მაშინ როდესაც 2018 წელს მისი წილი ბაზარზე 12%-ს შეადგენდა. 11%-იანი წილობრივი მაჩვენებლით მეორე ადგილზე “Turkish Airlines”-ია, ხოლო მესამე ადგილს, 10%-ით ქართული ავიაკომპანია “Georgian Airways”-ი იკავებს.



სააგენტოს ინფოგრაფიკა

რეგულარული და მრავალჯერადი ჩარტერული რეისებით გადაყვანილი მგზავრების რაოდენობის/პროცენტულის წილის მიხედვით პირველი ათეული ასე გამოიყურება:

1. ავიაკომპანია Wizz Air – 825 290 მგზავრი 16%;
2. ავიაკომპანია Turkish Airlines – 572 181 მგზავრი 11%;
3. ავიაკომპანია Georgian Airways – 500 482 მგზავრი 10%;
4. ავიაკომპანია Ukraine International Airlines (UIA) – 207 588 მგზავრი 4%;
5. ავიაკომპანია Fly Dubai – 204 364 მგზავრი 4%;
6. ავიაკომპანია Ural Airlines – 190 341 მგზავრი 4%
7. ავიაკომპანია Pegasus – 180 761 მგზავრი 4%;
8. ავიაკომპანია Pobeda Airlines – 180 684 მგზავრი 4%;
9. ავიაკომპანია SkyUp Airlines – 156 186 მგზავრი 3%

10. ავიაკომპანია Air Arabia – 144 216 მგზავრი 3%;

პროცენტული თანაფარდობა ქართულ და უცხოურ ავიაკომპანიებს შორის შემდეგია: 11% ქართული ავიაკომპანიები (565 779 მგზავრი) და 89% უცხოური ავიაკომპანიები (4 546 253 მგზავრი).

რეგულარული და მრავალჯერადი ჩარტერული რეისების შედეგად 2019 წელს გადაყვანილ იქნა 5 112 032 მგზავრი. ერთჯერადი ჩარტერების ჩათვლით, საქართველოს აეროპორტები შარშან სულ 5 209 505 მგზავრს მოემსახურა.

ავიაკომპანიების დაშვება, დანიშვნები, განრიგების დამტკიცება (ATD)

- 2019 წლის განმავლობაში, საქართველოს ავიაბაზარზე შემოვიდნენ ახალი ავიაკომპანიები: Air France, Air Malta, Onur Air, Uzbekistan, Smartlynx, GetJet, Aircompany Armenia, Ryanair და Thai Air Asia X. აღნიშნული ავიაკომპანიების საქართველოს ავიაბაზარზე დაშვების კუთხით გადაყვანა-გადაზიდვების დეპარტამენტმა უზრუნველყო ყველა ხსენებულ ავიაკომპანიასთან ინტენსიური კონსულტაციები, რათა დაკმაყოფილებულიყო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები უცხო სახელმწიფოს ავიაკომპანიის დაშვებასთან დაკავშირებით. დეპარტამენტმა, ასევე, განიხილა ავიაკომპანიებისა და მათი საჰაერო ხომალდების დოკუმენტაცია, ხოლო შემდგომ კი განახორციელა რეგულარული და ჩარტერული საჰაერო მიმოსვლის ნებართვის მინიჭება;
- 2019 წლის განმავლობაში საქართველოს მიმართულებით, ბაზარზე არსებული და ახალი ავიაკომპანიების (ქართული და უცხო ქვეყნის) მიერ, რეგულარული საჰაერო მიმოსვლის განხორციელება დაიწყო სულ 29 ახალი მიმართულებით;
- 2019 წლის განმავლობაში 2-ჯერ დამტკიცდა ავიაკომპანიების მიერ სააგენტოში წარმოდგენილი რეგულარული საჰაერო მიმოსვლის განრიგი - ზაფხულის სანავიგაციო სეზონზე და ზამთრის სანავიგაციო სეზონზე, რის შემდეგაც შემუშავდა რეგულარული ფრენების განრიგი;
- გადაყვანა-გადაზიდვების დეპარტამენტის მიერ განხორციელდა 1 ქართული ავიაკომპანიის - Georgian Airways-ის დანიშვნა (1 მიმართულებით) და 12 უცხო ქვეყნის ავიაკომპანიისათვის ფრენების შესრულების ნებართვის მინიჭება (აღიარება). ყველა შესაბამისი დანიშვნა და აღიარება აისახა შესაბამის რეესტრში;
- 2019 წელს გადაყვანა-გადაზიდვების დეპარტამენტის მიერ გაიცა სულ 2214 რეგულარული და არარეგულარული ფრენის ნებართვა, ასევე 5 თანხმობა უცხო ქვეყნის კომპანიის მიერ საქართველოს შიგნით ფრენებისათვის. ზაფხულის

სანავიგაციო სეზონის განმავლობაში, რეგულარული საჰაერო მიმოსვლის შესრულების უფლება მიენიჭა სულ 46 ქართულ და უცხო ქვეყნის სამგზავრო და სატვირთო ავიაკომპანიას, ხოლო 2019-2020 წლის ზამთრის სანავიგაციო სეზონისათვის კი - 35 ქართულ და უცხო ქვეყნის სამგზავრო და სატვირთო ავიაკომპანიას;

- საავიაციო სამუშაოების განხორციელების უფლება მიენიჭა 1 ქართულ (სერვისიერი) და 4 უცხო ქვეყნის ავიაკომპანიას (HELI and CO SA, AYA AVIATION LTD, Action Air and OFEK Aerial Photography);
- 2019 წლის განმავლობაში, გადაყვანა-გადაზიდვების დეპარტამენტის მიერ საქართველოსა და უცხო სახელმწიფოების საჰაერო ხომალდების ექსპლუატანტის სერტიფიკატის მფლობელებზე გაიცა 48 გათავისუფლება, სახიფათო ტვირთების გადაზიდვისათვის. გადაყვანა-გადაზიდვების დეპარტამენტმა გასცა 20 ერთეული ფასიანი და 27 ერთეული უფასო გათავისუფლება;
- სააგენტოს გადაყვანა-გადაზიდვების დეპარტამენტმა 2019 წლის განმავლობაში მონაწილეობა მიიღო შემდეგი მთავრობათაშორისი შეთანხმების შემუშავების პროცესში:
 - შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ლიბანის რესპუბლიკის მთავრობას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ;
 - შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ნორვეგიის სამეფოს მთავრობას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ;
 - შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და კორეის რესპუბლიკის მთავრობას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ;
 - შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ბრაზილიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ;
 - შეთანხმება საქართველოს მთავრობასა და ტაჯიკეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ;
- სააგენტოს გადაყვანა-გადაზიდვების დეპარტამენტის მონაწილეობით, გაიმართა მოლაპარაკება „საჰაერო მიმოსვლის შესახებ“ ორმხრივი მთავრობათაშორისი შეთანხმებების ტექსტის მიღების მიზნით საქართველოსა და კორეის რესპუბლიკის საავიაციო ხელისუფლებებს შორის და გაფორმდა შესაბამისი შეხვედრის ოქმი. ამასთან, მოლაპარაკებები გაიმართა ასევე საქართველოსა და ტაჯიკეთის რესპუბლიკის საავიაციო ხელისუფლებებს შორის და გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელიც ქმნის სამართლებრივ ბაზას საქართველოსა და ტაჯიკეთს შორის რეგულარული ფრენების დასაწყებად.

სახიფათო ტვირთების გადაზიდვაზე ზედამხედველობა (DG)

- გადაყვანა-გადაზიდვების დეპარტამენტმა მონაწილეობა მიიღო 11 ავიაკომპანიისათვის საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის გაგრძელების პროცესში. შემოწმდა ავიაკომპანიის შესაბამისი დოკუმენტაცია სახიფათო ტვირთების გადაზიდვებთან დაკავშირებით. ახალ ავიაკომპანიებს დაუმტკიცდათ შესაბამისი სახელმძღვანელოები;
- 2019 წელს, გადაყვანა გადაზიდვების დეპარტამენტმა, განხორციელა როგორც გეგმიური, ისე არაგეგმიური ინსპექტირებები სახიფათო ტვირთის გადაზიდვის კუთხით. ინსპექტირებები განხორციელდა როგორც საქართველოში, ისე საქართველოს ფარგლებს გარეთ. შემოწმდნენ საქართველოში რეგისტრირებული საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის მფლობელები, საავიაციო სატვირთო ტერმინალები, საავიაციო სასწავლო დაწესებულებები, აეროპორტების ოპერატორები, ტვირთგამგზავნები. აეროპორტების ოპერატორები ასევე შემოწმდნენ მგზავრთა, მათ შორის შშმ პირების, უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. ამასთან შედგა საქართველოსა და უცხო სახელმწიფოს ავიაკომპანიების საჰაერო ხომალდების რეგულარული და არაგეგმიური შემოწმება ბაქანზე - სულ 21 ინსპექტირება;
- განხორციელდა სააგენტოს მიერ სერტიფიცირებული საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატების მფლობელთა დოკუმენტაციის შემოწმება სახიფათო ტვირთების გადაზიდვებთან დაკავშირებით, რათა უზრუნველყოფილ ყოფილიყო დოკუმენტაციის შესაბამისობა სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს, სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა (ICAO) და საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის ასოციაციის (IATA) მიერ დადგენილ მოთხოვნებთან. ეს დოკუმენტებია: „სახიფათო ტვირთის გადაზიდვებთან დაკავშირებით პერსონალის მომზადების პროგრამა“, „სახიფათო ტვირთების გადაზიდვის სახელმძღვანელო“; ფრენის შესრულების სახელმძღვანელოში „სახიფათო ტვირთების გადაზიდვებთან“ დაკავშირებული დებულებები;
- გადაყვანა-გადაზიდვების დეპარტამენტის მიერ 2019 წელს, სამუშაო პროცესის გაუმჯობესების მიზნით, შემუშავდა და დამტკიცდა „სახიფათო ტვირთების ინსპექტორის სახელმძღვანელო“, რომელიც აერთიანებს სახიფათო ტვირთების გადაზიდვის ინსპექტორის მოვალეობების შესრულების მიზნით მიღებულ პროცედურებს და აღნიშნულმა სახელმძღვანელომ გადაფარა და გააუქმა მანამდე არსებული სხვადასხვა სახის პროცედურა, რომლებიც განკუთვნილი იყო სახიფათო ტვირთების გადაზიდვის ინსპექტორისათვის. ამასთან, საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით განხორციელდა „საქართველოს ტერიტორიაზე საავიაციო სამუშაოთა წარმოებისა და/ან არარეგულარული საერთაშორისო გადაყვანა-გადაზიდვის ნებართვის და თანხმობის გაცემის პროცედურისა“ (ATD 03-4) და მასზე

თანდართული საკონტროლო ბარათების (ATD 05-10; ATD 05-18) ცვლილება, რომლის მიზანია ნებართვის გაცემის პროცესში ახალი მოთხოვნის დამატება.

საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობების გაცემა და მუდმივი მონიტორინგი (OL)

საჰაერო ხომალდების ექსპლუატაციისა და ფრენების უსაფრთხოების ზედამხედველობის პარალელურად, 2017 წლის 1 ივლისიდან, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო მოქმედი ავიაკომპანიების ფინანსური მდგარდობისა და საიმედოობის მონიტორინგს ახორციელებს.

2019 წლის განმავლობაში, საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის გაცემაზე უარი ეთქვა 1 ავიაკომპანიას (“ამს ეარლაინზი”), ასევე 2 ავიაკომპანიას გაუუქმდა მოწმობა (შპს ავიატორი; შპს ბრავო აირ).

საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის მფლობელ საწარმოთა რეესტრი (31.12.2019წ. მდგომარეობით)					
ავიაგადაზიდველი	ს/ნ	გაცემის თარიღი	კატეგორია	მოწმობის ნომერი	მდგომარეობა
შპს ჯორჯიან ეარვეისი	208205360	22.11.2017	"ა" კატეგორიის საწარმო	001	მოქმედი
შპს აკ-ეარ ჯორჯია	436041061	31.01.2018	"ა" კატეგორიის საწარმო	002	მოქმედი
შპს მაივეი ეარლაინს კო ლტდ	406178835	23.02.2018	"ა" კატეგორიის საწარმო	003	მოქმედი
შპს აერო ექსპედიშენ	404506183	04.06.2018	"ა" კატეგორიის საწარმო	004	მოქმედი
შპს თი სი ეი	406069506	04.07.2018	"ა" კატეგორიის საწარმო	005	მოქმედი
შპს სერვისეირი	204439376	10.07.2018	"ბ" კატეგორიის საწარმო	006	მოქმედი
შპს ავიაკომპანია ჯეო სქაი	406198485	24.07.2018	"ა" კატეგორიის საწარმო	007	მოქმედი
შპს ავიატორი +	404511621	31.08.2018	"ბ" კატეგორიის საწარმო	008	გაუქმებული
შპს ბრავო აირ	406092543	28.12.2018	"ა" კატეგორიის საწარმო	009	გაუქმებული

საჰაერო ხომალდების ექსპლუატანტებზე (ქართულ ავიაკომპანიებზე) ზედამხედველობა (OPS, FSD):

- 2019 წლის განმავლობაში განხორციელდა საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის მოქმედების ვადის გაგრძელება შემდეგ ავიაკომპანიებზე:

საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის მფლობელი	სერტიფიკატის N	მოქმედების ვადა
შპს "ავიაკომპანია თუშეთი"	061	16.01.2019-16.01.2020
შპს "სკაი ტრეველი"	062	05.03.2019-05.03.2020
შპს "სერვისიერი"	065	15.05.2019-15.05.2020
შპს "ჯორჯიან ეარვეისი"	071	25.11.2019-25.11.2021
შპს "ავიასერვისი"	079	21.05.2019-21.05.2020
შპს „თი სი ეი“	081	04.07.2019-04.07.2020
შპს "ბრავო აირ"	082	17.07.2019-17.07.2021
შპს „აერო ექსპედიშენი“	088	20.12.2018-20.12.2019
შპს „ავიაკომპანია „ჯეო სქაი“	089	24.07.2019-24.07.2021
შპს „აკ-ეარ ჯორჯია“	091	15.01.2019-15.01.2020
შპს „მაივეი ეარლაინზ კო ლტდ“	092	23.01.2019-23.01.2020

- 2019 წლის პირველ კვარტალში მიდინარეობდა შპს „ტიფლის ეარ“-ის პირველადი სერტიფიკაციის პროცესი, თუმცა საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკაციების წესის“ მე-7 მუხლის 2' პუნქტის მოთხოვნით უარი ეთქვა სერტიფიკაციების პროცესის გაგრძელებაზე;
- 2019 წლის განმავლობაში გაუქმდა შემდეგი ავიაკომპანიების საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატები:
 - შპს "ავიატორი +" (16.07.2019წ.),
 - შპს „ამს ეარლაინზი“ (11.10.2019წ.).

2019 წლის განმავლობაში განხორციელდა:

- საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის N1 დანართში/საექსპლუატაციო სპეციფიკაციებში ცვლილებების შეტანა -8;

- საპაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის №1 დანართში საპაერო ხომალდის შეტანა - 8;
- საპაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის №1 დანართიდან საპაერო ხომალდის ამოღება - 6;
- საპაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის №2 დანართის გაცემა - 3;
- საპაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის №2 დანართის გაუქმება - 2.

- 2019 წლის განმავლობაში, ავიასაწარმოების მუდმივი ზედამხედველობის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ინსპექტირებები:

- სასერტიფიკაციო -12;
- შუალედური/გეგმიური - 29;
- არაგეგმიური -2;

- ბაქანზე საპაერო ხომალდების ინსპექტირებები:

ავიაკომპანია	შემოწმებული სხ-ების საერთო რაოდენობა
შპს "ავიაკომპანია თუშეთი"	6
შპს "სკაი ტრეველი"	-
შპს "სერვისიერი"	4
შპს "ჯორჯიან ეარვეისი"	3
შპს "ავიასერვისი"	23
შპს „თი სი ეი“	2
შპს "ბრავო აირ"	2
შპს „ამს ეარლაინზ“	6
შპს „ავიატორი+“	1
შპს „აერო ექსპედიშენი“	6
შპს „ავიაკომპანია „ჯეო სქაი“	2
შპს „აკ-ეარ ჯორჯია“	5
შპს „მაივეი ეარლაინზ კო ლტდ“	5

- 2019 წელს განხორციელებული მარშრუტზე საპაერო ხომალდების ინსპექტირებები:
 - პილოტების მარშრუტზე შემოწმება – 6

- პილოტების საკვალიფიკაციო შემოწმებები - 12

- შემუშავდა/კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანილი იქნა შემდეგი პროცედურები:
 - შვეულმფრენის ღამის ხედვის სისტემის (NVIS) გამოყენებით ექსპლუატაციის ნებართვის გაცემის პროცედურა და კითხვარი;
 - საკიდელით ტვირთის გადატანის (HESLO) ან/და ადამიანების გადაყვანასთან HHO ნებართვის გაცემის პროცედურა და კითხვარი;
 - საჰაერო ხომალდით პლანერის/ბანერის ბუქსირების ნებართვის გაცემის პროცედურა და კითხვარი;
 - შვეულმფრენით მოთხილამურეების მომსახურების (HELI-SKIING) ნებართვის გაცემის პროცედურა და კითხვარი;

ავიასპეციალისტთა სერტიფიცირება (PEL)

ავიასპეციალისტებზე მოწმობების გაცემა, გამოცვლა, მოქმედების ვადის გაგრძელება და საკვალიფიკაციო აღნიშვნები:

- 2019 წლის განმავლობაში სულ გაიცა 86 ავიასპეციალისტის მოწმობა, მოქმედების ვადა გაუგრძელდა სამოქალაქო ავიაციის სხვადასხვა ავიასპეციალისტების 310 მოწმობას, აგრეთვე არსებულ მოწმობებში შეტანილი იქნა 458 სხვადასხვა სახის საკვალიფიკაციო აღნიშვნები განმცხადებელთა მოთხოვნებიდან გამომდინარე.

სხვა სახელმწიფოს მიერ გაცემული მოწმობების აღიარება:

- 2019 წლის განმავლობაში განხორციელდა სხვა ქვეყნის 233 ავიასპეციალისტის მოწმობის აღიარება.

სასწავლო დაწესებულებები, ავიასამედიცინო სერტიფიცირების ზედამხედველობა (ATO, MED)

2019 წლის ბოლოსთვის, სერტიფიცირებულია შემდეგი სამოქალაქო ავიაციის სასწავლო დაწესებულებები:

სერტიფიკატის მფლობელი	სერტიფიკატის N	მოქმედების ვადა
შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი“	56/092018	26.09.2018-26.09.2020
შპს „საქაერონავიგაცია“	58/052019	22.05.2019-22.05.2021
შპს „საქართველოს საავიაციო სასწავლო ცენტრი“	60/112019	27.11.2019-27.11.2021
შპს „აეროპორტების გაერთიანება“	59/092019	13.09.2019-13.09.2021
შპს „ამს ტექნიკს“	61/122019	06.12.2019-06.12.2021
შპს „კოლეჯი ხვალინდელი წარმატებისთვის“	57/122018	28.12.2018-28.12.2020
შპს „ტავ ურბან საქართველო“	55/052018	08.05.2018-08.05.2020

- 2019 წელს უარი ეთქვა სერტიფიცირებაზე შპს „ფლაი აკადემი“-ს, ვინაიდან განმცხადებლის მიერ არ იქნა გამოსწორებული სააგენტოში წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის შედეგად გამოვლენილი შენიშვნები;
- 2019 წლის განმავლობაში, სასწავლო დაწესებულებების მუდმივი ზედამხედველობის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ინსპექტირებები:
 - სასერტიფიკაციო - 3;
 - შუალედური/გეგმიური - 10;
 - არაგეგმიური - 1;

სამოქალაქო ავიაციის სასწავლო დაწესებულებების გეგმიური ინსპექტირებები:

სამოქალაქო ავიაციის სასწავლო დაწესებულება	ინსპექტირების საერთო რაოდენობა
შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი“	2
შპს „საქაერონავიგაცია“	2
შპს „საქართველოს საავიაციო სასწავლო ცენტრი“	1

შპს „აეროპორტების გაერთიანება“	2
შპს „ამს ტექნიკს“	2
შპს „კოლეჯი ხვალისდელი წარმატებისთვის“	2
შპს „ტავ ურბან საქართველო“	2

- 2019 წლის განმავლობაში, წინასასერტიფიკაციოდ და სდ-ის სერტიფიკატში სასწავლო პროგრამის დამატებით შეტანის მიზნით შეთანხმებულია 18 სასწავლო პროგრამის ახალი რედაქცია და განხორციელდა ცვლილებები 2 სასწავლო პროგრამაში;
- 2019 წლის განმავლობაში, სათანადო განაცხადისა და განხილვის საფუძველზე განხორციელდა სხვა ქვეყნის საავიაციო ხელისუფლების მიერ სერტიფიცირებული 32 სასწავლო დაწესებულების აღიარება;
- 2019 წელს შესაბამისი განაცხადებისა და შუამდგომლობის საფუძველზე გაიცა 38 მასწავლებლის მოწმობა;
- 2019 წლის განმავლობაში ავიასპეციალისტების ავიასამედიცინო სერტიფიცირების პროცესის შემოწმება განხორციელდა კვარტალში ერთხელ;
- 2019 წელს განხორციელდა ავიასამედიცინო ექსპერტთა სერტიფიცირება, რომლის შედეგად სერტიფიკატები გაიცა შემდეგ ავიასამედიცინო ექსპერტებზე:
 1. ირინა აბრამიშვილი;
 2. ირინა ხარაბაძე;
 3. თამილა ქოქოშვილი;
 4. ელლა მუზაფაროვა-ოსეფაიშვილი.

აეროდრომებისა და აეროპორტების ზედამხედველობა, მიწისზედა საშუალებების ზედამხედველობა (AGA)

➤ ჩატარებული ინსპექტირებები:

1. თბილისის საერთაშორისო აეროპორტი 20-22.02.2019
2. ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი 29-31.05.2019; 28-29.11.2019
3. ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი 19-21.03.2019
4. მესტიის აეროდრომი 04-05.07.2019
5. ნატახტარის აეროდრომი 30.09.2019
6. თელავის აეროდრომი „მიმინო“ 02.05.2019; 17.05.2019
7. ამბროლაურის აეროდრომი 30-31.10.2019

➤ საწვავ-გასამართი საწარმოები:

სერტიფიცირება/ცვლილების შეტანა/მოწმობების გაცემა-ვადის გაგრძელება		შესრულების ვადა	სტატუსი
1	შპს ა-ბე-ვე ავიაგია	14.02.2019	გაიცა სერტიფიკატი 3 წლის ვადით
2	შპს ჯორჯიან პეტროლიუმი	03.06.2019	გაიცა სერტიფიკატი 3 წლის ვადით
3	შპს პეტროკას ფუელ სერვისიზ ჯორჯია	31.05.2019	გაიცა სერტიფიკატი 3 წლის ვადით
4	შპს ჯორჯიან ეარვეისი	19.09.2019	გაიცა სერტიფიკატი 3 წლის ვადით
5	შპს ა-ბე-ვე ავიაგია	02.08.2019	ცვლილება სერტიფიკატში - დაემატა გამართვის წერტილი შეკვეთილში
6	შპს ჯორჯიან პეტროლიუმი	28.03.2019	ცვლილება სერტიფიკატში - ქუთაისის ბაზაზე დაემატა TC1 ტიპის საწვავი
7	საავიაციო საწვავ გამმართველი საწარმოების ტექნიკური პერსონალის მოწმობების გაცემა და ვადის გაგრძელება	01.01.2019-20.12.2019	გაიცა 10 ახალი მოწმობა ვადა გაუგრძელდა 25 მოწმობას
8	შპს გუდაური ჰელისკინგ	-	სერტიფიცირების პროცესი დაწყებულია

➤ სახელმძღვანელო დოკუმენტაციის შეთანხმება/ცვლილება

აეროდრომის ექსპლუატაციის სახელმძღვანელოები

- შპს „ტავ ურბან საქართველოს“ თბილისის აეროდრომის ექსპლუატაციის სახელმძღვანელოში 6 ცვლილება;
- შპს „ბათუმის აეროპორტის“ აეროდრომის ექსპლუატაციის სახელმძღვანელოში 3 ცვლილება;

- შპს „სერვის ეარის“ ნატახტარის აეროდრომის ექსპლუატაციის სახელმძღვანელოში 5 ცვლილება;
 - შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ მესტიის აეროდრომის ექსპლუატაციის სახელმძღვანელოში 1 ცვლილება;
 - შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ ქუთაისის აეროდრომის ექსპლუატაციის სახელმძღვანელოში 1 ცვლილება;
- უსაფრთხოების მართვის სისტემის სახელმძღვანელოები
- შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ უსაფრთხოების მართვის სისტემის სახელმძღვანელოში 2 ცვლილება;
 - შპს „სერვის ეარის“ უსაფრთხოების მართვის სისტემის სახელმძღვანელოში 2 ცვლილება.
- საგანგებო ვითარების მოქმედების გეგმები
- შპს „ტავ ურბან საქართველოს“ თბილისის აეროდრომის საგანგებო ვითარების მოქმედების გეგმაში 1 ცვლილება;
 - შპს „ბათუმის აეროპორტის“ აეროდრომის საგანგებო ვითარების მოქმედების გეგმაში 1 ცვლილება;
 - შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ ქუთაისის აეროდრომის საგანგებო ვითარების მოქმედების გეგმაში 1 ცვლილება;
 - შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ ამბროლაურის აეროდრომის საგანგებო ვითარების მოქმედების გეგმაში 2 ცვლილება;
 - შპს „სერვის ეარის“ ნატახტარის აეროდრომის საგანგებო ვითარების მოქმედების გეგმაში 1 ცვლილება.
- აეროდრომზე სატრანსპორტო საშუალებისა და ქვეითთა მოძრაობის მართვის პროგრამები
- შპს „ტავ ურბან საქართველოს“ მოძრაობის მართვის პროგრამაში 1 ცვლილება;
 - შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ ქუთაისის აეროდრომის მოძრაობის მოწესრიგების პროგრამაში 1 ცვლილება;
- ველური ბუნების წარმომადგენლების მიერ შექმნილი საფრთხეების შემცირებისა და მართვის პროგრამა
- შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ ქუთაისის აეროდრომზე ველური ბუნების წარმომადგენლების მიერ შექმნილი საფრთხეების შემცირებისა და მართვის პროგრამის ახალი რედაქციის შეთანხმება.

- შიდა ფრენების სტიმულირების მიზნით, სააგენტომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დავალებით, საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ვერტმფრენებისათვის საფრენი მოედნების მოწყობის შესაძლებლობის შესწავლა დაიწყო. სპეციალისტების ჯგუფმა 2019 წლის ივნისიდან დაიწყო მუშაობა და მათ მიერ ქვეყნის მასშტაბით გასული წლის დეკემბრის მდგომარეობით შეირჩა სამასამდე წერტილი, სადაც ტექნიკური თვალსაზრისით შესაძლებელია ვერტმფრენების საფრენი მოედნების მოწყობა ტურისტული ფრენების, სანიტარული, სამაშველო და საავიაციო სამუშაოების წარმოების მიზნით. საფრენი მოედნების მოწყობისა და ექსპლუატაციისთვის ხელსაყრელი ყველა წერტილის შესახებ მზადდება დეტალური დასკვნა და ელექტრონული რუკა, რომელიც წარედგინება მთავრობას;
- 2019 წელს პირველად, ტურისტულ ზონაში ავიასაწვავ-გასამართი საწარმო დასერტიფიცირდა. ყაზბეგის რაიონის სოფელ აჩხოთში, ადგილზე, სახანძრო უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტების დაცვით ხდება მცირე ზომის საჰაერო ხომალდების საწვავით მომსახურება, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ოპერატორების მოქნილობას.

სააერნაოსნო მომსახურებაზე ზედამხედველობა (ANS)

- 2019 წლის განმავლობაში, სააერნაოსნო მომსახურების დეპარტამენტის მიერ სერტიფიცირებასთან დაკავშირებული აქტივობები დაუკავშირდა სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 119-ე ბრძანების შემუშავებას, რომელიც შეეხება სააერნაოსნო მომსახურების საწარმოს სერტიფიცირებას, ასევე განხორციელდა სააერნაოსნო საწარმოს სერტიფიცირებასთან დაკავშირებული შიდა პროცედურის პროექტის შემუშავება, რომელიც უკავშირდება 2020 წლისთვის დაგეგმილი საწარმოს სერტიფიცირებისთვის მზადებას;
- 2019 წელს დაგეგმილი იყო 2 ინსპექტირება, მაგრამ განხორციელდა 4, რადგან ინსპექტირების ფარგლებში დაგეგმილი სააერნაოსნო ინფორმაციის სამსახურის და მესტიის ინსპექტირებები ჩატარდა დამოუკიდებლად;

ინსპექტირების ადგილის შესაბამისად, ინსპექტირების სფერო და მიმართულება მოიცავს: ღიად დარჩენილი ნაკლოვანებების შესრულების სტატუსის გადამოწმება სააერნაოსნო მომსახურების ტექნიკური უზრუნველყოფის პროცედურები, ტექნიკური პერსონალის თანამდებობრივი ინსტრუქციები და ტექნიკური საშუალებები; საჰაერო მოძრაობის ორგანიზების სახელმძღვანელო მასალები; ადამიანური რესურსები და კვალიფიკაცია; საავიაციო მეტეოროლოგიური მომსახურების სახელმძღვანელო მასალები და თანამდებობრივი ინსტრუქციები; საწარმოში დაგეგმილი ცვლილების შეთანხმების და საავიაციო მოვლენათა შეტყობინების პროცესები; სამოქალაქო

ავიაციის სასწავლო დაწესებულება საავიაციო პერსონალის პროფესიული მომზადება (ATO/ATCO);

- 2019 წელს დამტკიცდა ტექნიკური საშუალების აღიარების პროცედურა, ხოლო კალენდარული წლის განმავლობაში, სააგენტომ აღიარა შემდეგი ტექნიკური საშუალებები:

N	დასახელება	ადგილმდებარეობა
1	თბილისის რაიონული ცენტრში და კომპურაზე დამონტაჟებული ხმოვანი კავშირის სისტემა (SITTI Multifono M800IP)	თბილისი
2	სარადიოლოკაციო და საფრენოსნო ინფორმაცია დამუშავების ავტომატიზებული სისტემა (INDRA)	თბილისი
3	ავტომატური დამოკიდებული დაკვირვების საშუალებები (ADS-B)	თბილისი, ქუთაისი, გუდაური, წნორი, დიდველი
4	მიწა-ჰაერი ტიპის რადიოსადგურები (Jotron)	თბილისი, ქუთაისი, სენაკი
5	მეტეოროლოგიური რადიოლოკატორი (Defender X200	ფოთი
6	ავტომატიზებული სისტემა “INDRA”-ს სატესტო სისტემა	თბილისი
7	სახელსაწყო დაფრენის სისტემა ILS 2100 – 13 R	თბილისი

- 2019 წლის განმავლობაში, დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა სააერნაოსნო მომსახურების საწარმოში დაგეგმილი 9 ცვლილება, რომლიდანაც ერთი ექვემდებარებოდა შეთანხმებას. შეთანხმების პროცესში გამოვლინდა, რომ ცვლილების წარდგენის კულტურა საწარმოში იზრდება. შეთანხმების დოკუმენტაცია ხშირ შემთხვევაში კარგად აღწერს ცვლილებასთან დაკავშირებულ პროცესებს. ამასთან, გამოცდილება აჩვენებს, რეგ. 373-ის ნორმის ასახვის აუცილებლობას 185-ე ბრძანებაში. ცვლილების განხორციელებისათვის მიზანშეწონილია კონსულტაციების გამართვა საწარმოსთან და ე.წ. ინდუსტრიის სხვა მოთამაშეებთან;
- 2019 წელს დეპარტამენტმა მიიღო მონაწილეობა საჰაერო მოძრაობის მეთვალყურის თეორიული და პრაქტიკული მომზადების 17 (ჩვიდმეტი) სასწავლო პროგრამის შეთანხმებაში, საიდანაც ერთი პროცესი მოიცავდა არსებული პროგრამის ცვლილების განახლების შეთანხმებას. ამ პროცესის დახვეწა დაგეგმილია სტრუქტურული რეფორმის ფარგლებში.

საჰაერო ხომალდების რეგისტრაცია და ვარგისობაზე ზედამხედველობა (AIR)

- სააგენტოს საჰაერო ხომალდების ვარგისობისა და რეგისტრაციის დეპარტამენტის მიერ დღეისათვის სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული 68 ერთეული სხვადასხვა ტიპის, წონის და დანიშნულების საჰაერო ხომალდი;
- 2019 წელს, სააგენტოს საჰაერო ხომალდების ვარგისობისა და რეგისტრაციის დეპარტამენტის მიერ დარეგისტრირდა და ფრენის ვარგისობის სერტიფიკატი გაცა 7 ერთეულ საჰაერო ხომალდზე;
- სერტიფიცირებულია და ზედამხედველობა ხორციელდება საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების 14 საწარმოზე;

დეპარტამენტმა 2019 წელს შემდეგი მომსახურებები გასწია:

- საჰაერო ხომალდის სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაცია - 7;
- ს.ხ-ის სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრიდან ამოღების სერტიფიკატის გაცემა - 7;
- სხ-ის სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში/სხ-ის სარეგისტრაციო სერტიფიკატში ცვლილებების შეტანა - 6;
- სხ-ს საფრენად ვარგისობის სერტიფიკატის გაცემა/ვადის გაგრძელება - 46;
- სხ-ის ადგილმდებარეობაზე ხმაურის სერტიფიკატის გაცემა - 12;
- სხ-ის რადიოსადგურის სერტიფიკატის გაცემა - 15;
- სხ-ის საფრენად ვარგისობის საექსპორტო სერტიფიკატის გაცემა - 5;
- ფრენის ვარგისობის სერტიფიკატის გარეშე დაშვებულ ფრენაზე განაცხადის შეფასება/დასკვნის მომზადება - 10;
- სხ-ის ტექნიკური მომსახურების პროგრამის ცვლილება - 34;
- სხ-რესურსის გაგრძელება 0
- საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების საწარმოს სერტიფიცირება - 14;
- უცხო ქვეყნის მიერ გაცემული ტექნიკური მომსახურების შესაბამისობის სერტიფიკატის აღიარება - 13;
- ტექნიკური მომსახურების სახელმძღვანელოს (MOE) შეთანხმება - 4;
- ტექნიკური მომსახურების სახელმძღვანელოში (MOE) ცვლილებების შეტანა - 8;

- ტექნიკური მომსახურების მართვის სახელმძღვანელოს შეთანხმება - 3;
- ტექნიკური მომსახურების მართვის სახელმძღვანელოში ცვლილებების შეტანა - 11

SAFA

„წევრი სახელმწიფოებისა და საქართველოს აეროპორტებში დაშვებული საჰაერო ხომალდის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვებისა და გაცვლის შესახებ“ ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოსთან (EASA) გაფორმებული შეთანხმების ფარგლებში, სააგენტოს საჰაერო ხომალდების ვარგისობისა და რეგისტრაციის და ფრენის სტანდარტების და სერტიფიცირების დეპარტამენტების თანამშრომლების მიერ ხდება უცხო ქვეყნის რეგისტრირებული საჰაერო ხომალდების ბაქანზე შემოწმება (EU Ramp Inspection Programme SAFA). აღნიშნული შემოწმება ტარდება EASA-ს წესებისა და პროცედურების მიხედვით. სააგენტოს ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორები ჩართულნი არიან SAFA-ს პროგრამის მონაცემთა ბაზაში და ხდება როგორც საქართველოში შემოწმებული სხ-ის ანგარიშების მიწოდება ასევე ევროპის აეროპორტებში შემოწმებული სხ-ს შედეგების განხილვა.

- რაც შეეხება უცხო ქვეყნის საჰაერო ხომალდების ბაქანზე შემოწმების წლიური გეგმას, 2019 წლისათვის დადგენილი იყო 117 შემოწმების ქულა, დღეისათვის შესრულებულია გეგმის 67%-ი. წლის ბოლომდე დაგეგმილია დამატებითი ინსპექტირებების ჩატარება, თუმცა გეგმის სრულად შესრულება ვერ მოხდება, რაც გამოწვეულია რუსეთის მიერ საქართველოსთან საჰაერო მიმოსვლის შეწყვეტით.
- სააგენტოს SAFA-ს ინსპექტორებმა 2019 წლის მაის-ივნისში, იტალიის საავიაციო ხელისუფლების ინსპექტორებთან ერთად, რომის და მილანის აეროპორტებში ჩატარეს საჰაერო ხომალდების ბაქანზე შემოწმება.
- EASA-ს მიერ გამოქვეყნებული EASA Ramp Inspection Manual (RIM) ახალი გამოცემის საფუძველზე შევიდა ცვლილება უცხო ქვეყნის საჰაერო ხომალდების ბაქანზე შემოწმების პროცედურებში, შესაბამისი სწავლება გაიარა სააგენტოს ყველა SAFA-ს ინსპექტორმა.

საავიაციო უშიშროებაზე ზედამხედველობა (AVSEC)

- სააგენტოს საავიაციო უშიშროების დეპარტამენტის მიერ, 2019 წლის განმავლობაში განხორციელდა ხარისხის კონტროლის ღონისძიებები აეროპორტებსა და სხვა ავიასაწარმოებში;

სულ ჩატარდა 67 ხარისხის კონტროლის ღონისძიება (ინსპექტირება) სააგენტოს დირექტორის მიერ დამტკიცებული „საავიაციო უშიშროების დეპარტამენტის ავიასაწარმოების 2019 წლის სრულმასშტაბიანი/საინსპექციო შემოწმების გრაფიკის“ მიხედვით;

- საავიაციო უშიშროების დეპარტამენტის წარმომადგენლის ზედამხედველობით ჩატარდა საქართველოს სამოქალაქო აეროპორტების საავიაციო უშიშროების სისტემის 10 გამოცდა;
- პერიოდულად მუდმივი მონიტორინგის განხორციელების ფარგლებში სპეციალისტებს უწევდათ აღნიშნულ ობიექტებზე არასამუშაო საათებსა და დღეებში სტუმრობა;
- 2019 წელს დეპარტამენტის სპეციალისტების ჩართულობით 11 ავიაკომპანიას გაუგრძელდა სერტიფიკატის ვადა;
- შეთანხმდა საავიაციო უშიშროების 11 პროგრამა;
- შეთანხმდა 4 უცხოური ავიაგადამზიდველის პროგრამა;
- შეთანხმდა 5 პროგრამის რევიზია;
- გაიცა 305 პიროვნების მუდმივი და ავტოსატრანსპორტო საშუალების (სააგენტოს თანამშრომლებისთვის) 14 საშვი;
- საავიაციო უშიშროების დეპარტამენტის მიერ გაიცა 304 შემოწმების ოპერატორის სერტიფიკატი. ამასთან, დეპარტამენტის წარმომადგენლები თავმჯდომარეობდნენ აღნიშნული პერსონალის ათ (10) საგამოცდო კომისიას.

უპილოტო საჰაერო სისტემების და საერთო დანიშნულების ავიაციაზე ზედამხედველობა (UAS, GA, SPO)

უპილოტო საჰაერო ხომალდები

- განხორციელდა ICAO- ს დანართი 1-ის, დანართი 2-ის და დანართი 7-ის ანალიზი;
- განხორციელდა ICAO- ს დანართი 6-ში და დანართი 8-ში დაგეგმილი ცვლილებების ანალიზი;
- განხორციელდა EASA-ს უპილოტო საჰაერო ხომალდებთან დაკავშირებული რეგულაციების, დამხმარე დოკუმენტაციის (AMS, GM) მასალების მოძიება და ანალიზი;
- შემუშავდა EASA-ს უპილოტო საჰაერო ხომალდებთან დაკავშირებული რეგულაციებზე დაფუძნებული ახალი რეგულაცია (სამუშაო ვერსია);



- „ფორსაჟის“ ეპიზოდების გადაღების მიზნით, საქართველოში 8 უპილოტო საჰაერო ხომალდი დარეგისტრირდა. პროფესიული საჰაერო ფოტო და ვიდეო გადაღების წარმოების მიზნით, უცხოურმა ოპერატორმა „XM2 UK LIMITED“-მა სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, უპილოტო საჰაერო ხომალდების სავალდებულო რეგისტრაციის პროცესი გაიარა. სააგენტოს მიერ, კომპანიას მიენიჭა სპეციფიკურ კატეგორიაში ექსპლუატაციის ნებართვა, რაც საშუალებას აძლევს ოპერატორს უსაფრთხოების ნორმების სრული დაცვით, იფრინოს

ღია კატეგორიისთვის დაშვებულ სიმაღლეზე მაღლა, შენობა-ნაგებობიდან დაშორების განსხვავებული პირობებით და ა.შ.

- 2019 წლის განმავლობაში განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად გამოიცა 9 ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტი - ბრძანება, მათ შორის 6 ბრძანება გამონაკლისის სახით ექსპლუატაციაზე „ღია კატეგორიაში“, „ღია კატეგორიაში“ მოთხოვნილი რომელიმე პუნქტის მოთხოვნის დაკმაყოფილების გარეშე;
- ერთ ექსპლუატანტზე გაიცა სპეციფიკურ კატეგორიაში ექსპლუატაციაზე თანხმობის სერტიფიკატი;
- სულ მოხდა 9 უპილოტო საჰაერო ხომალდის რეგისტრირება საქართველოს სამოქალაქო უპილოტო საჰაერო ხომალდების რეესტრში;
- განხორციელდა ექსპლუატანტის ინსპექტირება სამუშაოების განხორციელებისას უსაფრთხოების დაცვის კუთხით;
- გამოიცა 2 ნოტამი უპილოტო საჰაერო ხომალდის ფრენებთან დაკავშირებით;
- გაიმართა 20 შეხვედრა ინდუსტრიის წარმომადგენლებთან. გაიმართა ასევე უპილოტო საჰაერო ხომალდების უცხოელ ექსპლუატანტებთან კონსულტაციები ელექტრონულ ფორმატში;
- გაიმართა 2 სამუშაო შეხვედრა უპილოტო საჰაერო ხომალდების სამუშაო ჯგუფის ფარგლებში;
- გაიმართა შეხვედრა და კონსულტაციები უპილოტო საჰაერო ხომალდების საჰაერო მოძრაობის მართვის და მონიტორინგის სისტემებთან დაკავშირებით ამ სფეროს მსოფლიოს წამყვან კომპანიებისა და უწყებების წარმომადგენლებთან როგორცაა „EUROCONTROL“, „UNIFLY“, „AirMap“, „Leonardo“ და „Altitude Angel“) წარმომადგენლებთან;
- შ.პ.ს. „კოპტერ.ჯის“ ოფისში ჩატარდა „SORA“-ს მეთოდოლოგიით რისკის შეფასებასთან დაკავშირებული სემინარი;
- სააგენტოს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს JARUS-ის სამუშაო ჯგუფის (WG2) ორ სამუშაო შეხვედრაში;

საერთო დანიშნულების ავიაცია და ზემსუბუქი საჰაერო ხომალდები

- მომზადდა ორი ნორმატიული აქტი (იხ. REG) და შესაბამისი პროცედურები (იხ. QMD)
- ზემსუბუქი საჰაერო ხომალდების სამუშაო ჯგუფის ფარგლებში ქ. ბათუმში გაიმართა ორი შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებმა (11-12.02.2019; 10-11.06.2019);
- პარაგლაიდინგით დაკავებული პირების ცნობადობის ამადლების მიზნით და ფრენების განხორციელების სიტუაციის შესწავლის მიზნით განხორციელდა ორი ვიზიტი დაბა გუდაურში, კერძოდ, სასტუმრო „მარკო პოლოში“, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა პარაგლაიდინგით დაკავებულ პირებთან, საჰაერო ხომალდების

ექსპლუატანტთან შეხვედრა და არსებული სირთულეების მიმოხილვა. განხილულ იქნა პარაგლაიდინგის, როგორც საავიაციო სპორტის სახეობის რეგულირების საკითხის და პრობლემატურობა. ინსპექტირების ფარგლებში, ასევე განხორციელდა შემოწმება დაბა სტეფანწმინდაში (05.03.2019; 21.03.2019);

- პარაგლაიდინგით დაკავებული პირებისა და საჰაერო სივრცის სხვა მომხმარებლების ფრენის უსაფრთხოების ამაღლების მიზნით გამოიცა უსაფრთხოების მითითება;
- პარაგლაიდინგით დაკავებული პირების ცნობიერების ამაღლების მიზნით სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს საკონფერენციო დარბაზში გაიმართა შეხვედრა სააგენტოს დირექტორის №113 ბრძანებაში შეტანილი ცვლილების, კერძოდ მე-141 მუხლის შესახებ, რომლის ფარგლებშიც ინდუსტრიის წარმომადგენლებს განემარტათ შეტანილი ცვლილებების მიზანი, გაეწიათ კონსულტაცია აქტუალურ საკითხებზე და მიმოხილულ იქნა პარაგლაიდინგის, როგორც საავიაციო სპორტის სახეობის რეგულირების საკითხი;
- საჰაერო სივრცის მომხმარებლის ინსპექტირების მიზნით განხორციელდა შემოწმება ქ. მცხეთაში;
- პარაპლანერიზმის ჩემპიონატის განხორციელების მიზნით NOTAM-ის მომზადება და საკონსულტაციო შეხვედრა;
- განხორციელდა ინდუსტრიასთან საკონსულტაციო შეხვედრები სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით.

სპეციალიზებული ექსპლუატაცია

- სპეციალიზებული ექსპლუატაციის მარეგულირებელი ნორმატიული აქტის პროექტის მოსამზადებლად განხორციელდა შესაბამისი დოკუმენტაციის მოძიება და ანალიზი;
- მომზადდა შემდეგი წესის პროექტები: SPO – სპეციალიზებული ექსპლუატაცია; SPO NCC – არაკომერციული სპეციალიზებული ექსპლუატაცია კომპლექსური სხ-ებით; SPO NCO – არაკომერციული სპეციალიზებული ექსპლუატაცია არაკომპლექსური სხ-ებით;
- „ფორსაჟის“ ეპიზოდების გადაღების მიზნით, სააგენტომ ბელგიურ კომპანია „Heli and Co SA“-ის კუთვნილ EUROCOPTER AS 355N-ის ტიპის ვერტმფრენზე საქართველოს ტერიტორიაზე საავიაციო სამუშაოების (სატელევიზიო და კინოგადაღების ჩატარება) წარმოების ნებართვა გასცა (2019 წლის 26 აგვისტო).



სააგენტოს სხვადასხვა დეპარტამენტების ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორების და სპეციალისტებისაგან დაკომპლექტებული ჯგუფის მიერ, ადგილზე მოხდა სპეციალურად მოწყობილი ასაფრენ-დასაფრენი მოედნის და საფრენი ლოკაციების დათვალიერება. ასევე გაიმართა არაერთი სამუშაო შეხვედრა ტექნიკურ ჯგუფთან და ვერტმფრენის პილოტებთან.

ხარისხის მართვა (QM)

- 2019 წლის შიდა აუდიტების პროგრამით სააგენტოში განხორციელებული ძირითადი პროცესების შესაბამისობის შემოწმების მიზნით დაგეგმილი იყო 16 აუდიტი. აუდიტები განხორციელდა გეგმის შესაბამისად;
- 2019 წლის განმავლობაში, სააგენტოში დამტკიცდა ხარისხის სისტემის შემდეგი შიდა დოკუმენტაცია:
 - ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორის სახელმძღვანელო (დამტკიცდა ATD-ს და ANS/AGA-ს სახელმძღვანელოები;
 - ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიცირების პროცესი;
 - ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის ფრენის სპეციალური ნებართვის გაცემის პროცედურა და საკონტროლო ბარათი;
 - სააერონავთო მომსახურების საწარმოს სერტიფიცირების პროცედურა;
 - NOTAM-ის გამოცემის შესახებ განაცხადის დამუშავების პროცედურა;

- ჰაერსაწარმო ინფორმაციის მომზადების და წარდგენის პროცედურის ცვლილება;
- შვეულმფრენების ღამის ხედვის სისტემის (NVIS) გამოყენების ექსპლუატაციის ნებართვის გაცემის პროცედურა;
- ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სახელმძღვანელო;

სააგენტოს სამართალშემოქმედებითი საქმიანობა (REG)

2019 წლის განმავლობაში, სააგენტოს ტექნიკურმა დეპარტამენტებმა სამართალშემოქმედების, საერთაშორისო სტანდარტების და ევროკავშირის რეგულაციების დანერგვის დეპარტამენტთან ერთად იმუშავეს როგორც ახალ ნორმატიულ აქტებზე, ისე არსებული ნორმატიული აქტების ცვლილებებზე.

ფრენების უსაფრთხოების გაუმჯობესების და ზედამხედველობის ხარისხის ამაღლების მიზნით, 2019 წელს, სააგენტომ შესაბამისი ევროკავშირის რეგულაციების და დირექტივების მიხედვით, სამი ახალი წესი მიიღო.

- „ავიასამედიცინო ცენტრის, ავიასამედიცინო ექსპერტის და ავიასპეციალისტის სამედიცინო სერტიფიცირების წესი“ შემუშავებულია ევროპული N1178/2011 ე.წ. „basic“ რეგულაციის შესაბამისად, რომელიც ადგენს ტექნიკურ მოთხოვნებს და ადმინისტრაციულ პროცედურებს სამოქალაქო ხომალდის ეკიპაჟის წევრებისთვის. წესის მიზანია ფრენების უსაფრთხოების გაუმჯობესება, ავიასპეციალისტთა ჯანმრთელობის მდგომარეობის ევროპული სტანდარტების შესაბამისად დადგენის, ასევე ავიასპეციალისტთა სამედიცინო სერტიფიცირების, ავიასამედიცინო ცენტრისა და ავიასამედიცინო ექსპერტის სერტიფიცირების გზით აღნიშნული რეგულაციის ფარგლებში სააგენტომ ავიასამედიცინო ექსპერტის პირველი სერტიფიკატები 2019 წელს გასცა და 2020 წელს ავიასამედიცინო ცენტრის სერტიფიცირებას განახორციელებს;
- სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ სააერნაოსნო მომსახურების საწარმოს სერტიფიცირების წესი მიიღო. სააერნაოსნო მომსახურების საწარმოს სერტიფიცირების წესი, რომელიც სააგენტომ ევროკომისიის N2017/373 რეგულაციის შესაბამისად მიიღო, 2020 წლის 1 აპრილიდან ამოქმედდება და საქართველოს საჰაერო სივრცესა და სამოქალაქო აეროდრომებზე არაკომპლექსური ან/და კომპლექსური სააერნაოსნო მომსახურების გამწევი საწარმოების ევროპული სტანდარტების შესაბამისად სერტიფიცირებას ითვალისწინებს. ახალი რეგულაციით საქაერონავიგაციის“ რესერტიფიცირება ევროპული მოთხოვნების გათვალისწინებით ჩატარდება, რაც თავის მხრივ გააუმჯობესებს სააერნაოსნო მომსახურებების ხარისხს და ხელს შეუწყობს ფრენების უსაფრთხოების შემდგომ ამაღლებას. ამავე დროს,

ნორმატიულ აქტს შემოაქვს „არაკომპლექსური საწარმოს“ ცნება და შესაბამისი საორგანიზაციო და ტექნიკური მოთხოვნები. 373/2017 რეგულაციის დანერგვით, საქართველო შეასრულებს ევროპასთან ერთიანი საჰაერო სივრცის შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებს;

- ევროკავშირის დირექტივის (Directive 2006/93/EC) შესაბამისად, სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ საქართველოს აეროპორტებში უცხო ქვეყნის საჰაერო ხომალდებისათვის ხმაურის მოთხოვნები დანერგა („უცხო ქვეყნის სამოქალაქო საჰაერო ხომალდებისათვის, ხმაურის დონიდან გამომდინარე, საქართველოს საჰაერო სივრცით სარგებლობის უფლების შეზღუდვის წესი“). წესის მიზანია საქართველოს აეროპორტებში საჰაერო ხომალდების ექსპლუატირების დროს ხომალდის მიერ წარმოქმნილი ხმაურის მინიმუმამდე შემცირება. 2013 წლიდან აღნიშნული მოთხოვნები ვრცელდება ქართულ ავიაკომპანიებზე. შესაბამისად, უცხო ქვეყნის საჰაერო ხომალდების მიერ საჰაერო მიმოსვლის შესრულებისათვის ხმაურის მოთხოვნების დადგენით, ქართულ და უცხოურ ავიაკომპანიებზე თანაბარი პირობები გავრცელდება. წესი 2020 წლის 1 მარტიდან ამოქმედდება.

ICAO-ს სტანდარტებისა და რეკომენდირებული პრაქტიკის დანერგვის მიზნით, სააგენტომ შემდეგი წესი დაამტკიცა:

- "სამოქალაქო ავიაციის სამუშაო დროის და ფრენის დროის ნორმები" (2019 წლის 14 აგვისტოს №168 ბრძანება) აუქმებს საქართველოს დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს - სსიპ სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის თავმჯდომარის 2003 წლის 16 დეკემბრის №5 ბრძანებას „საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების ეკიპაჟების სამუშაო დროის ნორმების დამტკიცების შესახებ“ და ადგენს საფრენოსნო, სამუშაო და საფრენოსნო-სამუშაო დროის ზღვარს (მაქსიმალური ნორმები), აგრეთვე დასვენების დროის ზღვარს (მინიმალური ნორმები), ეკიპაჟის წევრების გადაღლის თავიდან ასაცილებლად და ფრენის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. პროექტი შესაბამისობაშია „საერთაშორისო სამოქალაქო ავიაციის შესახებ“ ჩიკაგოს 1944 წლის კონვენციის მე-6 დანართით (ICAO Annex 6) გათვალისწინებულ მოთხოვნებთან და დეტალურად განსაზღვრავს ეკიპაჟის წევრების სამუშაო და დასვენების დროის ნორმებს, ექსპლუატანტისა და ეკიპაჟის წევრების ვალდებულებებს, ასევე ეკიპაჟის წევრის რეზერვში ყოფნის, საკვებით უზრუნველყოფის, საადრიცხო მონაცემების შენახვის და სააგენტოში მოთხოვნისთანავე წარმოდგენის პირობებს. წესის ამოქმედება 2021 წლის 1 ოქტომბრიდან იგეგმება.

ე.წ. მცირე ავიაციის რეგულირების და სამართლებრივი მოწესრიგების კუთხით, სააგენტომ ორი ახალი ნორმატიული აქტი დაამტკიცა:

- „ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის ეკიპაჟის საფრენოსნო შემადგენლობის სერტიფიცირების წესის“ მიზანია ფრენების უსაფრთხოების უზრუნველყოფა ზემსუბუქი საჰაერო ხომალდების ეკიპაჟის საფრენოსნო შემადგენლობის სერტიფიცირების გზით. ნორმატიული აქტის პროექტი არეგულირებს ზემსუბუქი

საჰაერო ხომალდის ეკიპაჟის საფრენოსნო შემადგენლობის (პილოტი, პილოტ-კურსანტი და ინსტრუქტორი) მოწმობის გაცემის, მოქმედების ვადის გაგრძელების, განახლების, შეჩერების, აღდგენის და აღიარების საკითხებს. წესის მოქმედება ვრცელდება ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის ეკიპაჟის საფრენოსნო შემადგენლობაზე, რომელიც ახორციელებს ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის ექსპლუატაციას. წესის მოქმედება არ ვრცელდება იმ ზემსუბუქი საფრენი აპარატის ეკიპაჟის საფრენოსნო შემადგენლობაზე, რომლის ფრენა შეუძლებელია ადამიანის მასის და ფიზიკური ძალის გამოყენების გარეშე და არ რეგისტრირდება სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში;

- სააგენტომ ასევე დაამტკიცა ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიცირების და საფრენოსნო ექსპლუატაციის წესი. რეგულაციის მიზანია საქართველოს საჰაერო სივრცეში ზემსუბუქი საჰაერო ხომალდების გამოყენებით განხორციელებული ფრენების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და მგზავრთა უფლებების დაცვა ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიცირების, საფრენოსნო ექსპლუატაციის და სავალდებულო დაზღვევის მოთხოვნების დადგენის გზით. ნორმატიული აქტი კრძალავს ზემსუბუქი საჰაერო ხომალდის კომერციული მიზნით ექსპლუატაციას, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ სერტიფიცირების შედეგად გაცემული სერტიფიკატის ფლობის გარეშე. ამასთან, ექსპლუატანტი უფლებამოსილი იქნება განახორციელოს საფრენოსნო ექსპლუატაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ექნება სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი (სადაზღვევო პოლისი) მგზავრისა და მესამე პირის მიმართ.

სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) სტანდარტებისა და რეკომენდირებული პრაქტიკის, ასევე ევროპული რეგულაციების ეტაპობრივი დანერგვის მიზნით, ცვლილებები შევიდა შემდეგ ნორმატიულ აქტებში:

- „საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიცირების წესის“ დამტკიცების შესახებ სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 19 აგვისტოს №142 ბრძანება. ცვლილებების (25.06.19) მიხედვით, დაუშვებელი გახდა საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის დანართებში იმ საჰაერო ხომალდის შეტანა, რომელიც ბოლო 1 წლის განმავლობაში იმყოფებოდა იმ ექსპლუატანტის ოპერირების ქვეშ, რომელიც ამავე პერიოდში მოხვედრილი იყო ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2005 წლის 14 დეკემბრის №2111/2005 რეგულაციით განსაზღვრულ სიაში (ე.წ. “შავი სია“). აღნიშნული ცვლილების მიზანია, იმ საჰაერო ხომალდების ბაზარზე არ დაშვება, რომელთა ექსპლუატაციას ახორციელებს საექვო საავიაციო უსაფრთხოების მქონე ავიასაწარმო. ამასთან, ცვლილების დანერგვით, სამოქალაქო ავიაციის სააგენტო დამატებით ასრულებს ევროკავშირის ვალდებულებებს (EU 965/2012). ავიაკომპანიებზე ზედამხედველობის პროცესის გაუმჯობესების მიზნით, შეიზღუდა და გამკაცრდა „ეკიპაჟიანი იჯარით“ საჰაერო ხომალდების სხვა სახელწიფოში რეგისტრირებული ექსპლუატანტისთვის გადაცემის პირობები. კერძოდ, იკრძალება

სხვა ქვეყნის ექსპლუატანტისთვის „ეკიპაჟიანი იჯარით“ სერტიფიკატის №1 დანართში შეტანილი საჰაერო ხომალდების გადაცემა, თუ „ეკიპაჟიანი იჯარით“ გადაცემის ვადა 12 კალენდარული თვის განმავლობაში აღემატება 6 თვეს, „ეკიპაჟიანი იჯარით“ გადაცემა იწვევს საჰაერო ხომალდის ბაზირებას საქართველოს ფარგლებს გარეთ, გადაცემული საჰაერო ხომალდების რაოდენობა აღემატება №1 დანართში შეტანილი საჰაერო ხომალდების რაოდენობის 50 პროცენტს. აღნიშნული მოთხოვნის დარღვევა წარმოადგენს საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის შეჩერების საფუძველს. ცვლილებების თანახმად, სერტიფიცირების პროცესი ასევე შესაბამისობაში მოვიდა ICAO-ს სტანდარტებთან (მე-6 დანართი);

- 2019 წლის 31 დეკემბრიდან ცვლილებები შევიდა „სამოქალაქო ავიაციის სასწავლო დაწესებულების სერტიფიცირების წესის“ დამტკიცების შესახებ სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 24 ოქტომბრის №221 ბრძანებაში. ცვლილებების მიზანია წესის მოთხოვნების ICAO-ს ჩიკაგოს კონვენციის პირველი დანართის და შესაბამისი სახელმძღვანელოს (Doc. 9841) მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა, ასევე N1178/2011, N1321/2014 და N2015/340 ევროპული რეგულაციების მოთხოვნების ეროვნულ კანონმდებლობაში ეტაპობრივი ასახვა. ცვლილებების თანახმად, მოხდა სამოქალაქო ავიაციის სასწავლო დაწესებულების სერტიფიცირების და სასწავლო პროგრამების შეთანხმების მიმართ მოთხოვნების დაკონკრეტება, არსებულ საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან მიახლოება და სახელმძღვანელო მასალის მითითება. აღნიშნული ცვლილებები სასწავლო დაწესებულების სწავლების ხარისხს და მეთოდიკას დაუახლოებს ევროპულ სტანდარტებს, ხოლო კურსდამთავრებულთა ცოდნის დონე და უნარები საშუალებას მისცემს მათ უფრო ეფექტურად განახორციელონ საკუთარი უფლება-მოვალეობები და განაგრძონ შემდგომი გადასწავლება საჰაერო ხომალდების სხვა ტიპებზე;
- „ვერტმფრენების საფრენოსნო ექსპლუატაციის წესების დამტკიცების შესახებ“ სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 22 ოქტომბრის №220 ბრძანებაში შევიდა ცვლილებები. ცვლილების მიზანია ღამის ხედვის სისტემით (NVIS) ვერტმფრენის ექსპლუატაციის წესების და პირობების დადგენა. ღამის ხედვის სისტემით აღჭურვილ ვერტმფრენებს შესაძლებლობა ექნებათ განახორციელონ ოპერირება ვიზუალური ფრენის წესებით (VFR). სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ, ღამის ხედვის სისტემის (NVIS) გამოყენებით ვერტმფრენის ექსპლუატაციის ნებართვა გაიცემა საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის სერტიფიკატის მფლობელებზე. ცვლილებების პროექტი შემუშავებულია ევროპული რეგულაციის 965/2012-ის SPA.NVIS.110; AMC1 SPA.NVIS.110(b); GM1 SPA.NVIS.110(b); GM1 SPA.NVIS.110 მოთხოვნების შესაბამისად;
- „საქართველოს საჰაერო სივრცეში ფრენის წესების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2016 წლის 26 აგვისტოს №113

ბრძანებაში შევიდა ცვლილებები. ცვლილების მიზანია საქართველოს საჰაერო სივრცეში ვიზუალური ფრენის წესით (VFR) სპეციალური ფრენის, ასევე ღამის (მზის ჩასვლასა და ამოსვლას შორის პერიოდში) ფრენების განხორციელების პირობების დადგენა. ცვლილებები ასევე ადგენს დამატებით პირობებს ქალაქის ან/და მჭიდროდ დასახლებული ადგილების თავზე ფრენების განხორციელებისას. ცვლილებები შემუშავებულია შესაბამის ევროპული მოთხოვნების გათვალისწინებით (ევროკავშირის რეგულაციები: N923/2012 და N2016/1185). ამასთან, სამოქალაქო ფრენების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, არსებულ წესს დაემატა ახალი მუხლი, რომელიც ადგენს საქართველოს საჰაერო სივრცეში პარაპლანით ფრენის პირობებს.

სხვა ცვლილებებს შორის აღსანიშნავია:

- 2013 წლის 27 დეკემბრის N263 ბრძანებით დამტკიცებული "საჰაერო ტრანსპორტით სახიფათო ტვირთის გადაზიდვის წესის" ცვლილება;
- სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 14 ივნისის №96 ბრძანებით დამტკიცებული „მგზავრის გარდაცვალებისას /სხეულის დაზიანებისას, მგზავრის გადაყვანის ან/და ბარგის გადაზიდვის შეფერხებისას, ბარგის დაკარგვისას, დაზიანებისას ან განადგურებისას საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის მფლობელის მოვალეობების განსაზღვრის წესის“ ცვლილება;
- სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 27 დეკემბრის №263 ბრძანებით დამტკიცებული „საჰაერო ტრანსპორტით სახიფათო ტვირთის გადაზიდვის წესის“ ცვლილებები;
- „დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის 2003 წლის 16 დეკემბრის N 8 ბრძანების - "საავიაციო სამუშაოების სახელმძღვანელოს" დამტკიცების შესახებ“ ცვლილება;
- ICAO-ს VI დანართის, I ნაწილის 2018 წლის გამოცემის მოთხოვნების შესაბამისად, „თვითმფრინავების საფრენოსნო ექსპლუატაციის წესების“ N203 ბრძანების ცვლილებები;
- ICAO-ს VI დანართის, III ნაწილის 2018 წლის გამოცემის მოთხოვნების შესაბამისად, „ვერტმფრენების საფრენოსნო ექსპლუატაციის წესების“ N220 ბრძანების ცვლილებები;
- გამკაცრდა სხვა ქვეყნის მიერ გაცემული ავიასპეციალისტების მოწმობის აღიარების პირობები და მოხდა სერტიფიცირების მოთხოვნების ICAO-ს (დანართი 1) და ევროპულ სტანდარტებთან (Reg. 1178/2011) დაახლოება (ცვლილებები ავიასპეციალისტთა სერტიფიცირების წესში);

- ცვლილება სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 6 მარტის N26 ბრძანებაში: „საქართველოს სამოქალაქო აეროპორტების კონტროლირებადი და შეზღუდული დაშვების დაცული ზონების განსაზღვრისა და ამ ზონებში დაშვების წესი“;
- ცვლილება 2017 წლის 3 ივლისის N109 ბრძანებით დამტკიცებული „საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით შემოწმების, მათ შორის გაფრენისწინა შემოწმების წესში“

სააგენტომ იმუშავა მთავრობის დადგენილების ცვლილების შემდეგ პროექტზე:

- საქართველოს მთავრობის 2007 წლის 19 სექტემბრის N196 დადგენილება - „საქართველოს ტერიტორიაზე საავიაციო სამუშაოთა წარმოებისა და/ან არარეგულარული საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“;

საერთაშორისო ურთიერთობები და ჩართულობა

ICAO-ს მე-40 ასამბლეა და საქართველო

- სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის რიგით მეორმოცე, საიუბილეო ასამბლეის ფარგლებში (24 სექტემბერი - 4 ოქტომბერი, 2019 წელი), სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორი ლევან კარანაძე ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს. საქართველოს წარმომადგენელი ICAO-ს ასამბლეაზე პირველად იქნა არჩეული საპატიო პოზიციაზე. ოთხი ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატები (ქუვეითი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, საქართველო და კორეის რესპუბლიკა) ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა წარადგინა. ასამბლეამ წარმოდგენილ კანდიდატებს ერთხმად დაუჭირა მხარი.



ICAO-ს ასამბლეა წარმოადგენს ორგანიზაციის სუვერენულ ორგანოს, რომელიც სამ წელიწადში ერთხელ საბჭოს ინიციატივით იკრიბება და სამოქალაქო ავიაციის სფეროში, მომავალი სამი წლის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს. ამასთან ასამბლეა არის ყველაზე მაღალი დონის შეხვედრას ავიაციის სფეროში, რომელზეც წარმოდგენილია ICAO-ს 193 წევრი სახელმწიფო, საერთაშორისო საავიაციო ორგანიზაციები და ინდუსტრიის მსხვილი წარმომადგენლები. 2019 წლის საიუბილეო ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა 173 ქვეყნის, 43 საერთაშორისო საავიაციო ორგანიზაციის და ინდუსტრიის ორიათასამდე დელეგატი. ასამბლეის ფარგლებში, დელეგატებმა განიხილეს ორგანიზაციის სამოქმედო გეგმა, ტექნიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი საკითხები.

საქართველო აქტიურად იყო ჩართული ასამბლეის მუშაობაში. ICAO-ს ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტის რანგში, ლევან კარანაძეს ჰქონდა გამოსვლა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში უნებართვო საჰაერო მიმოსვლის საკითხზე. სააგენტოს ხელმძღვანელმა მხარი დაუჭირა უკრაინის სამუშაო დოკუმენტს, რომელიც ყირიმის საჰაერო სივრცეში შექმნილ ვითარებას ასახავდა და საერთაშორისო საავიაციო თანამეგობრობას მხარდაჭერისკენ მოუწოდებდა. ლევან კარანაძემ ისაუბრა საერთაშორისო და საქართველოს სამართლებრივ ჩარჩოზე, რომელიც უნებართვო ოპერირებას კრძალავს და ამგვარი ფაქტების აღმოფხვრის და მომავალში პრევენციის მიზნით, ICAO-ს ქმედითი ნაბიჯების გადადგმისკენ მოუწოდა. ასამბლეის ფარგლებში, საქართველოს დელეგაციას ორმხრივი შეხვედრები ჰქონდა ICAO-ს ხელმძღვანელ პირებთან და წამყვანი სახელმწიფოების საავიაციო ხელისუფლებების/უწყებების

წარმომადგენლებთან (აშშ, კატარი, კორეის რესპუბლიკა, საფრანგეთი, გერმანია და ა.შ.).

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ორგანიზებით, თბილისში, ტრანსპორტის საკითხებში ევროკავშირი-საქართველოს მაღალი დონის დიალოგის პირველი სხდომა ჩატარდა. ღონისძიებაში მონაწილეობას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, ევროკომისიის ტრანსპორტისა და მობილობის დირექტორატის გენერალური დირექტორი ჰენრიკ ჰოლოლეი, სამინისტროს, ევროკომისიის შესაბამისი დირექტორატის, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს, საქართველოს რკინიგზისა და სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს პირველი პირები იღებდნენ. დღის წესრიგის ერთ-ერთ ძირითად საკითხს, სამოქალაქო ავიაციის სფეროში არსებული მიღწევებისა და სამომავლო გეგმების განხილვა წარმოადგენდა. ევროკომისიის ტრანსპორტისა და მობილობის გენერალურმა დირექტორმა დადებითად შეაფასა ფრენების უსაფრთხოების გაუმჯობესების, ასევე ევროკავშირთან ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კუთხით გაწეული საქმიანობა და აღნიშნა რომ მიღწეული პროგრესით საქართველო რეგიონში მოწინავე პოზიციებს იკავებს;
- 2019 წლის 19-20 მარტს, ICAO-ს ევროპისა და ჩრდილო-ატლანტიკურ ბიუროში რეგიონის საავიაციო ხელისუფლებების დირექტორთა რიგით მეორე შეხვედრა გაიმართა. ღონისძიებას, რომელიც ყველაზე მაღალი რანგის ფორმატია აღნიშნული რეგიონის საავიაციო უწყებებისთვის, ორმოცდაათამდე ქვეყნის საავიაციო ხელისუფლების და წამყვანი საერთაშორისო საავიაციო ორგანიზაციების (EASA, EUROCONTROL, ECAC, EU DG MOVE) პირველი პირები ესწრებოდნენ. შეხვედრის თავჯდომარედ პორტუგალიის საავიაციო ხელისუფლების აღმასრულებელი დირექტორი ლუის მიგელ სილვა რიბეირო აირჩიეს, ხოლო თავჯდომარის მოადგილის პოზიციაზე, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის, ლევან კარანაძის კანდიდატურა ერთხმად იქნა მხარდაჭერილი.
- 2019 წლის 4 ივნისს, ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) აღმასრულებელმა დირექტორმა პატრიკ ქიმ და სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორმა ლევან კარანაძემ ახალ სამუშაო შეთანხმებას მოაწერეს ხელი.



ახალი შეთანხმება საავიაციო უსაფრთხოების სფეროში, უწყებებს შორის ტექნიკური თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას, საქართველოს საავიაციო ხელისუფლების EASA-ს სისტემაში ინტეგრაციის ხელშეწყობას და ევროპული საავიაციო რეგულაციების დანერგვის კუთხით დახმარების გაწევას ითვალისწინებს. ახალმა შეთანხმებამ საავიაციო ხელისუფლებებს შორის (EASA, სსიპ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს წინამორბედი - ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაცია) 2009 წლის 7 ივლისს გაფორმებული შეთანხმება გააუქმა;

- სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორმა ლევან კარანაძემ და უკრაინის სახელმწიფო საავიაციო ადმინისტრაციის თავმჯდომარემ ოლექსანდრ ბილჩუკმა ურთიერთგაგების მემორანდუმს მოაწერეს ხელი. დოკუმენტი ორი ქვეყნის საავიაციო ხელისუფლებას შორის საავიაციო უსაფრთხოების კუთხით თანამშრომლობის გაღრმავებას ითვალისწინებს. მემორანდუმის მიხედვით, მხარეები გამოხატავენ საავიაციო-ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის და მონაცემების ურთიერთგაცვლის მზადყოფნას, ასევე, უზრუნველყოფენ ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორების გაცვლას და მეორე მხარის მიერ განხორციელებულ სამუშაოებში (საინსპექციო შემოწმებები, ადგილზე სწავლებები და სხვა) მონაწილეობას;
- სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ უპილოტო საჰაერო სისტემების მარეგულირებელი საავიაციო ხელისუფლებების გაერთიანების (JARUS) სამუშაო ჯგუფის (WG-2) შეხვედრას უმასპინძლა. სამ დღიანი (9-11 ივლისი) ღონისძიების ფარგლებში, ესპანეთის, კატარის, ირლანდიის, სამხრეთ აფრიკის, შვეიცარიის, ლატვიის, რუმინეთის და საქართველოს საავიაციო ხელისუფლებების ექსპერტებმა უპილოტო

საჰაერო ხომალდების ექსპლუატაციის რეგულირების და ზედამხედველობის საკითხები განიხილეს. სამუშაო ჯგუფის მუშაობაში ასევე ჩართულნი იყვნენ უპილოტო საჰაერო სისტემების მწარმოებელი და სერვისის მიმწოდებელი კომპანიების წარმომადგენლები;

- სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ორგანიზებით და ევროპის სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების სააგენტოს ტექნიკური დახმარების პროექტის (EASA EaPCA) მხარდაჭერით, თბილისში, სააერნაოსნო მომსახურების საწარმოს სერტიფიცირების საკითხებზე სასწავლო კურსი ჩატარდა. ტრენინგს საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის საავიაციო ხელისუფლებების, ასევე „საქაერონავიგაციის“ და საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ორდღიანი სასწავლო კურსის ფარგლებში, მონაწილეებმა სააგენტოს მიერ, ევროკომისიის N2017/373 რეგულაციის შესაბამისად მიღებული "სააერნაოსნო მომსახურების საწარმოს სერტიფიცირების წესი", მისი დანერგვისა და აღსრულების ტექნიკური და პროცედურული ასპექტები განიხილეს;
- სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) "No Country Left Behind" ინიციატივის ფარგლებში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამხრეთ თანამშრომლობის ფონდის დაფინანსებით და ICAO-ს გლობალური ავიაციის სასწავლო ოფისის ორგანიზებით, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ხელმძღვანელ პირებს, საშუალო რგოლის ხელმძღვანელებს და ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორებს სასწავლო კურსი ჩაუტარდათ. ხუთ დღიანი ტრენინგი ICAO-ს სტანდარტებთან და რეკომენდირებულ პრაქტიკასთან (SARPs) შესაბამისობის აქტუალურ საკითხებს მოიცავდა და მას ორგანიზაციის პარიზის ბიუროს ექსპერტებთან ერთად, სააგენტოს საავიაციო უშიშროების დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი უძღვებოდა;
- პირდაპირი საჰაერო მიმოსვლის დაწყების თაობაზე ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართული სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, 2019 წლის 13 სექტემბერს, აშშ-ს და საქართველოს საავიაციო ხელისუფლებების წარმომადგენლებს შორის შეხვედრა გაიმართა, რომელშიც საქართველოს მხრიდან მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე აკაკი საღირაშვილი და სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორი ლევან კარანაძე. სტუმრები აშშ-ს ფედერალური ავიაციის ადმინისტრაციის (FAA) დირექტორის მოადგილემ, ლირიო ლიუმ, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის აღმასრულებელმა დირექტორმა კრის რაშლოუმ და ფრენის უსაფრთხოების სტანდარტების სამსახურის დირექტორის მოადგილემ რობერტ რუისმა მიიღეს.



ვაშინგტონში გამართული შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა ორ ქვეყანას შორის პირდაპირი საავიაციო მიმოსვლის დაწყებისათვის აუცილებელ პროცედურულ საკითხებზე ისაუბრეს და ამ მიზნით, საავიაციო ხელისუფლებებს შორის ტექნიკური თანამშრომლობის გადრმავებაზე შეთანხმდნენ. ყურადღება გამახვილდა ასევე მოწინავე საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების და ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორების მომზადების საკითხებზე.

- საჰაერო ტრანსპორტის საერთაშორისო ასოციაციასა (IATA) და საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს (GCAA) შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა. დოკუმენტი IATA-სა და საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს შორის თანამშრომლობის გადრმავებას და საავიაციო უსაფრთხოების კუთხით, ინფორმაციის ურთიერთგაცვლას ისახავს მიზნად.



- მემორანდუმის მიხედვით, მხარეები გამოხატავენ საავიაციო-ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის და მონაცემების ურთიერთგაზიარების მზადყოფნას. ამასთან, ავიაკომპანიებზე და სერვისის მიმწოდებლებზე ზედამხედველობის ხარისხის შემდგომი ამაღლების მიზნით, მხარეები უზრუნველყოფენ კომუნიკაციის და კოორდინაციის ეფექტური მოდელის შემუშავებას IATA-ს საექსპლუატაციო უსაფრთხოების (IOSA) და მიწისზედა მომსახურების (ISAGO) აუდიტების შედეგების გამოყენებისთვის;
- საჰაერო მოძრაობის მართვის მოდერნიზების თაობაზე, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსა და ერთიანი ევროპული ცის საჰაერო მოძრაობის ორგანიზების კვლევით პროგრამას შორის განზრახულობათა ოქმი გაფორმდა.



დოკუმენტის თანახმად, მხარეები თანხმდებიან მჭიდრო თანამშრომლობაზე საჰაერო მოძრაობის მართვის მოდერნიზების და ეფექტურობის გაუმჯობესების, ასევე, საჰაერო ნაკადების ოპტიმიზაციის, დაგვიანებების მინიმუმამდე შემცირების და უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების დანერგვის კუთხით;

- საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკის საავიაციო ხელისუფლებებს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. დოკუმენტი საავიაციო ხელისუფლებებს შორის ევროკავშირის რეგულაციების დანერგვის, საჰაერო მოძრაობის მართვის და სააერნოსნო მომსახურების ზედამხედველობის კუთხით თანამშრომლობას ითვალისწინებს.
- სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) ევროპისა და ჩრდილო-ატლანტიკური რეგიონალური ბიუროს ეგიდით და საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მასპინძლობით, სასტუმრო „რედისონში“ საავიაციო ინგლისური ენის ცოდნის დონის განსაზღვრის საკითხებზე რეგიონალური სემინარი გაიმართა. ღონისძიებას თხუთმეტი ქვეყნის ორმოცამდე დელეგატი, მათ შორის საავიაციო ხელისუფლებების, საავიაციო სასწავლო დაწესებულებების, ICAO-ს და IATA-ს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. სემინარის ფარგლებში, რომელსაც საავიაციო ინგლისურის საერთაშორისო ასოციაციის (ICAEA) წამყვანი ინსტრუქტორები უძღვებოდნენ, მონაწილეები გაეცნენ იმ საერთაშორისო სტანდარტებს და თანამედროვე მიდგომებს, რომლებიც პროფესიული ინგლისური ენის ცოდნის დონის განსაზღვრისათვის გამოიყენება. სწავლება ითვალისწინებდა ისეთ აქტუალურ საკითხებს, როგორიცაა ჰარმონიზებული ტესტების შემუშავება და შესაბამისი მეთოდოლოგიის დახვეწა, სარადიოტელეფონო კავშირი პილოტებსა და საჰაერო მოძრაობის მეთვალყურეებს შორის, ადამიანური ფაქტორით გამოწვეული საავიაციო შემთხვევები და ა.შ.
- სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორმა ლევან კარანაძემ და გერმანიის სააერნოსნო მომსახურების ზედამხედველობის ფედერალური უწყების (BAF) დირექტორმა, პროფესორმა ნიკოლაუს ჰერმანმა თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი. დოკუმენტის თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ მჭიდრო თანამშრომლობაზე სააერნოსნო მომსახურების ზედამხედველობასთან დაკავშირებული ICAO-ს სტანდარტების და ერთიანი ევროპული ცის (SES) რეგულაციების დანერგვის კუთხით. მემორანდუმი ასევე ითვალისწინებს მონაცემებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა სააერნოსნო მომსახურების საწარმოების და სასწავლო დაწესებულებების ზედამხედველობა და სერტიფიცირება, საჰაერო მოძრაობის, კავშირგაბმულობის, სანავიგაციო და სარადიოლოკაციო მომსახურებების ზედამხედველობა და შესაბამისი ტექნიკური საშუალებების სერტიფიცირება, აგრეთვე, საჰაერო სივრცის მოქნილი სარგებლობის მიზნით, სამოქალაქო და სამხედრო ავიაციას შორის კოორდინაცია და

სამოქალაქო ავიაციაზე ზეგავლენის მქონე დაბრკოლებების შესახებ ინფორმაციის მართვა.

- ევროპის საჰაერო ნავიგაციის უსაფრთხოების ორგანიზაციის (EUROCONTROL) გენერალურმა დირექტორმა იმონ ბრენანმა და სამოქალაქო ავიაციის დირექტორმა ლევან კარანაძემ სპეციალურ შეთანხმებას მოაწერეს ხელი. ხელშეკრულება ითვალისწინებს ორგანიზაციის მიერ საქართველოს ხელშეწყობას ერთიანი ევროპული ცის სისტემაში ინტეგრაციის და სამოქალაქო-სამხედრო საავიაციო სისტემის მდგრადი განვითარების თვალსაზრისით. დოკუმენტის თანახმად, განხორციელდება ეროვნული საჰაერო მოძრაობის ორგანიზების პოლიტიკის და არსებული სისტემის ფუქნციონირების ეფექტიანობის ანალიზი, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება თანამშრომლობის კონკრეტული მიმართულებები. შეთანხმების ფარგლებში, პრიორიტეტი მიენიჭება საქართველოს მიერ, აუდიტების ფარგლებში მიღებული მაღალი მაჩვენებლების შენარჩუნებას და მათ შემდგომ გაუმჯობესებას, საჰაერო სივრცის გამტარუნარიანობის გაზრდას გაზრდილი ნაკადების ფონზე, მაღალი ხარისხის კოორდინაციის მიღწევას სამოქალაქო-სამხედრო ავიაციას შორის, ერთიანი ევროპული ცის საჰაერო მოძრაობის ორგანიზების კვლევის (SESAR) პროგრამაში ინტეგრირებას და სხვა.
- სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორი ლევან კარანაძე ევროპის საჰაერო ნავიგაციის უსაფრთხოების ორგანიზაციის (EUROCONTROL) მმართველი საბჭოს ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს. კენჭისყრა, ორგანიზაციის შტაბ-ბინაში, მიმდინარე წლის 28 ნოემბერს შედგა. EUROCONTROL-ის წევრი სახელმწიფოების მიერ, საბჭოს პრეზიდენტის პოსტზე მეორე ვადით ესპანეთის საავიაციო ხელისუფლების წარმომადგენელი იქნა არჩეული, ხოლო ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე საქართველოს და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ წარმოდგენილ კანდიდატურებს დაუჭირეს მხარი;
- სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორი არჩეულ იქნა საავიაციო სისტემების დაგეგმვის ევროპული ჯგუფის (European Region Aviation System Planning Group (EASPG)) თავმჯდომარის მოადგილედ. ჯგუფის მიზანია უზრუნველყოს ევროპის სანავიგაციო სისტემების განვითარების და უსაფრთხოების დონის თავსებადობა ICAO-ს გლობალური გეგმებით გათვალისწინებულ მაჩვენებლებთან, ასევე ეროვნული პროგრამების ჰარმონიზირება საერთაშორისო მოთხოვნებთან;

სააგენტოს ადმინისტრაციული მხარდაჭერა (ADM)

- 2019 წლის განმავლობაში, სააგენტომ ჩაატარა ოთხი ღია კონკურსი შემდეგ პოზიციებზე: დირექტორის პირველი მოადგილე, ფრენის სტანდარტების სერტიფიცირებისა და ინსპექტირების დეპარტამენტის სპეციალისტი (PEL), საავიაციო უშიშროების დეპარტამენტის სპეციალისტი და გადაყვანა-გადაზიდვების დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი. ტექნიკური დეპარტამენტების ახალი თანამშრომლებისთვის განისაზღვრა სწავლების გეგმები და მიმდინარეობს/დაიწყო მათი გადასწავლება როგორც სააგენტოს დაფინანსებით, ისე პარტნიორი ორგანიზაციების ხელშეწყობით;
- სააგენტოს 2019 წლის თანამშრომელთა მომზადება-გადამზადების გეგმის თანახმად, განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული სწავლებების უმრავლესობა, გადამზადდა სააგენტოს თანამშრომელთა უმრავლესობა. საერთაშორისო საავიაციო ორგანიზაციების (Singapore Aviation Academy, ICAO, IANS) ეგიდით ჩატარებული ტრენინგების თუ სემინარების რაოდენობა 2019 წლის განმავლობაში შეადგენს 6 სწავლებას.
- სააგენტოს სრული ან ნაწილობრივი დაფინანსებით, წამყვან საერთაშორისო საავიაციო სასწავლო დაწესებულებებში (გაერთიანებული საავიაციო ხელისუფლებების სასწავლო ორგანიზაცია - JAA TO, ჰოლანდია; ICAO-ს რეგიონალური საავიაციო სასწავლო დაწესებულებები, კიევი, მინსკი; ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტო (EASA) და სხვა) დაფინანსდა 23 სასწავლო პროგრამა;
- საერთაშორისო პროექტებთან და პარტნიორ საავიაციო ორგანიზაციებთან აქტიური მუშაობით და თანამშრომლობით, სააგენტომ ადგილზე, თბილისში, უზრუნველყო არაერთი სასწავლო სემინარის მასპინძლობა, რითაც მნიშვნელოვნად დაზოგა მივლინების ხარჯები და ამავედროულად, საქმიანობის შეფერხების გარეშე, უზრუნველყო უფრო მეტი თანამშრომლის დასწრება კურსებზე. მაგალითისთვის, წელს სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ შემდეგ სასწავლო ღონისძიებებს უმასპინძლა:

სასწავლო კურსი - სააერონავთო მომსახურების საწარმოს სერტიფიცირების საკითხებზე (ჩატარდა სააგენტოს მასპინძლობით ხოლო ექსპერტები მოწვეულნი იყვნენ ევროპის სამოქალაქო ავიაციის უსაფრთხოების სააგენტოს ტექნიკური დახმარების პროექტის (EASA EaPCA) დაფინანსებით. კურსს დაესწრო სააგენტოს 7 თანამშრომელი);

ICAO-ს რეგიონალური სასწავლო სემინარი - საავიაციო ინგლისური ენის ცოდნის დონის განსაზღვრის საკითხებზე (ჩატარდა სააგენტოს მასპინძლობით და ორგანიზებით, ექსპერტების მოწვევა უზრუნველყო ICAO-მ, კურსი გაიარა სააგენტოს სამმა თანამშრომელმა);

ტრენინგი - რეგულირების ზემოქმედების შესახებ (Impact Assessment) (ჩატარდა EASA EaPCA-ს მიერ მოწვეული ექსპერტის მიერ, სააგენტოს მასპინძლობით, კურსი გაიარა ცხრა თანამშრომელმა);

- 2019 წლის განმავლობაში ჩატარდა 4 შიდა ტრენინგი (სახიფათო ტვირთებზე ზედამხედველობა (2 ნაწილად), ნორმატიული აქტების შემუშავება (1), პირველადი სამედიცინო დახმარება (2));
- 2019 წლის განმავლობაში სააგენტო სრულად გადავიდა საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაზე (eDocument);

საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობა

- საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის კუთხით, 2019 წლის განმავლობაში უზრუნველყოფილ იქნა: სააგენტოს საქმიანობის შესახებ საინფორმაციო მასალებისა და რელიზების მომზადება (112); საინფორმაციო ბანერების მომზადება სააგენტოს სოციალური ქსელისთვის (19); სამოქალაქო ავიაციის სფეროსთან დაკავშირებული შემეცნებითი და ცნობიერების ასამაღლებელი ინფორმაციის (posts) მომზადება სააგენტოს სოციალური ქსელისთვის (6); დახმარების გაწევა ჟურნალისტებისათვის ინფორმაციის ან სააგენტოს ხელმძღვანელი პირების კომენტარის მოსაპოვებლად (სატელევიზიო ინტერვიუ/კომენტარი, სიუჟეტი), პასუხების მომზადება (ინტერვიუები ბეჭდური და ინტერნეტ გამოცემებისთვის), გაშუქების მიზნით ღონისძიების ანონსის დაგზავნა; სააგენტოს საქმიანობით დაინტერესებული ჟურნალისტებისა და სხვა დაინტერესებული პირების ინფორმირება; სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდისა (www.gcaa.ge) და სოციალური გვერდის (სამოქალაქო ავიაციის სააგენტო GCAA) ინფორმაციული უზრუნველყოფა და განახლება, მომხმარებლებთან კომუნიკაციის უზრუნველყოფა;

სააგენტოს საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა

- „ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N219 დადგენილებით დაწესებულ ვადებში, სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მიერ, რეგულარულად ხორციელდება ნუსხით განსაზღვრული პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ატვირთვა ოფიციალურ ვებ გვერდზე;

- 2019 წლის განმავლობაში სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში შემოსულია 32 განცხადება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოთხოვნილი ინფორმაცია გაიცა ყველა მოქალაქეზე და ორგანიზაციაზე;

სოციალური პასუხისმგებლობა

- სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თანამშრომლები 2014 წლის აგვისტოდან ახორციელებენ ყოველთვიურ დონაციას სოლიდარობის ფონდში. 2019 წლის განმავლობაში ფონდისთვის 5 641 ლარის მობილიზება მოხერხდა;
- 2019 წლის დეკემბერში, ახალი წლის დღესასწაულამდე რამდენიმე დღით ადრე, სააგენტოს თანამშრომელთა შემოწირულობებით (770 ლარი) დახმარება გაეწია ასოციაცია "კათარზისს" მზრუნველობა მოკლებულ ხანდაზმულების სადილის დაფინანსების მიზნით.